ბავშვების საყვარელი მეზღაპრე

> რომელია შენი საყვარელი ზღაპარი? გაიხსენე, ხალხურია იგი, თუ რომელიმე ავტორს ეკუთვნის.

წაგიკითხავს ,,წითელქუდა“, **„კონკია“**, „ჩექმებიანი კატა“, „მძინარე მზეთუნახავი“? შეგიძლია, მათი ავტორიც გაიხსენო?

დიახ, ეს შესანიშნავი ზღაპრები შარლ პერომ დაწერა.

ცნობილი ფრანგი მეზღაპრე შარლ პერო დაიბადა 1628 წელს პარიზში. მშობლებს სურდათ შვილს კარგი განათლება მიეღო. ამიტომ ვაჟი კოლეჯში შეიყვანეს. მამა მთელ თავისუფალ დროს შვილთან ატარებდა. ხშირად უმოწმებდა დავალებებს, აძლევდა რჩევებს. ასევე ასწავლიდა, რომ ადამიანმა საკუთარი აზრი **თამამად** უნდა გამოხატოს. თუმცა იმ დროს კოლეჯის მოსწავლეს ამის უფლება არ ჰქონდა.

ერთხელ შარლი მასწავლებელს შეეკამათა. მას თავისი აზრის დაცვა სურდა, მაგრამ ეს სითამამე არ აპატიეს და ამის გამო კოლეჯიდან გარიცხეს. ბიჭმა სწავლას თავი მაინც არ დაანება. მარტო მეცადინეობდა. სამი წლის შემდეგ მან გამოცდა **წარმატებით** ჩააბარა და კოლეჯი დაამთავრა.

შარლ პერომ მუშაობა დაიწყო. ყველაზე მეტ დროს იგი წერას უთმობდა. სამშობლოში მან ლექსებით გაითქვა სახელი. 60 წლის იყო პერო, როდესაც ზღაპრების წერა დაიწყო. არაერთი ხალხური ზღაპარიც გადააკეთა. უფრო გაამარტივა ისინი და ბავშვებისთვის ადვილად გასაგები გახადა. ზოგს დასასრული შეუცვალა, ზოგს კეთილი გმირები დაუმატა. ამ ზღაპრებს ყველა ასაკის ადამიანი სიამოვნებით კითხულობდა.

ცნობილია, რომ შარლ პერო ზღაპრებს თავისი შვილის სახელით ბეჭდავდა. თუმცა არასოდეს **გაუმხელია** ამის მიზეზი. ფიქრობენ, არ სურდა, რომ განთქმულ პოეტს მეზღაპრის სახელი ჰქონოდა. მაგრამ სწორედ ზღაპრებით გაიცნო იგი არა მარტო მისმა ქვეყანამ, არამედ მსოფლიომ. პეროს ლექსები კი დიდი ხანია აღარავის ახსოვს.

300 წელზე მეტია, რაც პეროს ზღაპრებს ინტერესით კითხულობს ყველა ეროვნების ბავშვი. მათ მიხედვით გადაიღეს ფილმები, დადგეს სპექტაკლები. დღეს იგი პატარების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეზღაპრეა.

> რა გაიგე ფრანგი მეზღაპრის შესახებ ახალი?

კომპონენტი: ფაქტი და მოსაზრება, **დონე:** 4.1

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) პეროს, ალბათ, უჭირდა მარტო სწავლა.

ბ) ჩანს, შარლი თამამი ბავშვი იყო.

გ) ცნობილია, რომ პერო კოლეჯში სწავლობდა.

2 რის გამო გარიცხეს შარლი კოლეჯიდან?

ა) იგი კოლეჯის პედაგოგს შეეკამათა.

ბ) მან დავალება კარგად არ შეასრულა.

გ) მას სწავლაში მამა ეხმარებოდა.

3 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) პერო, ალბათ, არ მოელოდა, რომ ზღაპრებით გაითქვამდა სახელს.

ბ) პეროს არასოდეს გაუმხელია, რომ ზღაპრები სწორედ მან დაწერა.

გ) პერომ ძველი ხალხური ზღაპრები გადაამუშავა და დაბეჭდა.

4 პეროს ზღაპრებს სიამოვნებით კითხულობდნენ, რადგან:

ა) ეგონათ, რომ ისინი პეროს ვაჟმა დაწერა.

ბ) ისინი ბავშვებისთვის ადვილად გასაგები იყო.

გ) იცოდნენ, რომ მათი ავტორი პოეტი იყო.

5 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ:

ა) რატომ დაივიწყა ხალხმა შარლ პეროს ლექსები.

ბ) რატომ დამალა პერომ, რომ ზღაპრების ავტორი იყო.

გ) რატომ უთმობდა პერო საკმაოდ დიდ დროს წერას.

6 ტექსტში <u>არ ჩანს:</u>

ა) რით იყო შარლ პერო ცნობილი.

ბ) როგორ შეძლო პერომ კოლეჯის დასრულება.

გ) პეროს რომელი ზღაპარია გადაღებული ფილმად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **კონკია** შარლ პეროს ზღაპრის გმირია. **კონკია** ნიშნავს:
   ა) ძალიან ლამაზს. ბ) ძალიან პატარას. გ) ძალიან ღარიბს.

2. შარლ პერო **ცნობილი** მეზღაპრეა.
   ა) განსაკუთრებული. ბ) კეთილი. გ) სახელგანთქმული.

3. ბიჭი **თამამად** გამოთქვამდა თავის აზრს.
   ა) გაბედულად. ბ) გასაგებად. გ) ფრთხილად.

5. შარლ პერომ **წარმატებით** ჩააბარა გამოცდა.
   ა) კარგად. ბ) მოულოდნელად. გ) უშიშრად.

4. პეროს არასოდეს **გაუმხელია** სიმართლე.
   ა) გაუმჟღავნებია. ბ) დაუმალავს. გ) შეუმჩნევია.

2 რომელია გამოთქმაა სწორი?

ა) დიდი დრო. ბ) ვეებერთელა დრო. გ) უხვი დრო.

▶▶▶ გრამატიკა

1 ფრჩხილებში მოცემული სიტყვები დაწერე საჭირო ფორმით.

1. უცნაური იყო *(მწერალი)* ---------- გადაწყვეტილება.
2. პეროს *(ზღაპარი)* ---------- მიხედვით დაიდგა სპექტაკლი.

2 რომელია არასწორი?

ა) თამამათ. ბ) მიმართ. გ) აზრით.

გრამატიკა

3 **დაწერეთ ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ნამდვილი – სინამდვილე.

1. მართალი – ----------. 2. თამამი – ----------.

4 **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.**

1. პეროს თავისუფლად შეეძლო ---------- აზრის გამოთქმა. ***(თავისი / მისი)***
2. ----------ზღაპრებით გაიცნო პერო მსოფლიომ. ***(სწორად / სწორედ)***

წერა

1 **ამოწერე ტექსტიდან ფაქტი, თუ რატომ კითხულობენ პეროს ზღაპრებს სიამოვნებით.**

---

2 **წარმოიდინე, რომ შენც გსურს შეცვალო ერთ-ერთი ზღაპარი ან მისი რომელიმე ნაწილი, შემოიყვანო ახალი პერსონაჟი.**

შეარჩიე ეს ზღაპარი და შეუდექი საქმეს. გააფორმე შენი ზღაპარი ნახატებით.

გამოთქვი მოსაზრება, რამდენად საინტერესოა ასეთი დავალების შესრულება და რატომ.